გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

ინფორმაცია პრესისათვის

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
სასტუმრო შერატონ მეტეხი
თელავის ქ. 20
0103 თბილისი
საქართველო

www.tiflis.diplo.de
EMAIL info@tifl.diplo.de
TEL + 995 - 32 – 2 447 300
FAX + 995 - 32 – 2 447 364
Facebook: www.facebook.com/DeutscheBotschaftTiflis

№ 13
09.06.2011

საინფორმაციო ღონისძიება „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის (IPS) შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში

პარასკევს, 2011 წლის 10 ივნისს 12:00 საათზე გერმანიის საელჩო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიწვევთ საინფორმაციო ღონისძიებაზე გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგის) სტიპენდიის პროგრამის შესახებ „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია (IPS)“. ღონისძიების დროს საელჩოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და 2012 წლის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შეტანის პროცედურების შესახებ. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც ძალიან კარგად ფლობენ გერმანულ ენას.

2012 წლის სტიპენდიის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად გერმანიის საელჩოში განაცხადების შეტანის ვადა 2011 წლის 30 ივნისს იწურება.

გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად აძლევს მაღალი კვალიფიკაციის მქონე და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ 100 ახალგაზრდას 21 სხვადასხვა ქვეყნიდან იშვიათ შესაძლებლობას, უშუალოდ გაეცნოს გერმანიაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს.

სტიპენდიატებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, იმუშაონ ბუნდესტაგის დეპუტატთა ბიუროებში და მონაწილეობა მიიღონ უამარავ ღონისძიებასა და შემეცნებით ექსკურსიაში.

გერმანიის ბუნდესტაგი “საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამას 1986 წლიდან ახორციელებს. პროგრამის მიზანია, აამაღლოს ახალგაზრდობის ინტერესი დემოკრატიისა და საზოგადოებისადმი, შესძინოს მას მეტი გამბედაობა და გაუღვიძოს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პროცესებში. IPS არის გრძელვადიანი ინვესტიცია დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების და ევროპაში კულტურული მრავალფეროვნებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშენყობის საქმეში.

პროგრამის ფარგლებში მგზავრობის, ბინის, კვების, დაზღვევისა და ყოველთვიური სტიპენდიის ხარჯებს გერმანიის ბუნდესტაგი გაიღებს.

„საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე:

www.bundestag.de/ips

პრესის წარმომადგენლებს ვთხოვთ გვეწვიონ!

მისამართი: უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი, რუმინული აუდიტორია (№332), ილია ჭავჭავაძის გამზ. №1
თარიღი: 10 ივნისი 2010
დასაწყისი 12 საათზე